# საქართველოს პრეზიდენტის

**ბრძანებულება №239**

**2008 წლის 10 მაისი**

**ქ. თბილისი**

## საქართველოს საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდის ყოფილი გრემის სატყეოდან მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ მიჩენილი უბნის (39.0 ჰა ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიური და სარიტუალო ღონისძიებებისათვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ტყის ფონდის ყოფილი გრემის სატყეოდან მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის ყოფილი გრემის სატყეოს კვარტალ №46-ში უბანი №34-დან ფართობი 12.0 ჰა, უბანი №35-დან ფართობი 4.0 ჰა, უბანი №36-დან ფართობი 1.0 ჰა, უბანი №37-დან ფართობი 5.0 ჰა, უბანი №38-დან ფართობი 6.0 ჰა, უბანი №39-დან ფართობი 5.0 ჰა, უბანი №40-დან ფართობი 6.0 ჰა, სულ – 39.0 ჰა;

გ) მიჩენილი უბნის მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობების დაზუსტება მოხდეს კოორდინატთა სისტემაში მომზადებული აზომვითი ნახაზის შესაბამისად;

დ) მიჩენის ვადად განისაზღვროს ოცი წელი;

ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მ. სააკაშვილი**